ПОТИ. Николаю Николадзе

# იმერეთი

№ 17

ყოველდღიური გაზეთი.

სამშაბათი 27 იანვარი 1915 წ.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„იმერეთი“.
გაზეთი ღირს:
1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ.
საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი შ. ი. გოკიელოვისა.
ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.
რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

მღვდელი ალექსანდრე სოლომონის ძე და მეუღლე მისი დიტია შენგელიას ასული კობახიძენი აზნაური ერმილე სოლომონის ძე კობახიძე და ვერა სოლომონის ასული გაგუა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პირველი ორის დაუვიწყარის ასულის, ხოლო მეორენი ძვირფასის ძმისწულის

ნინოსას.

დაკრძალვა მოხდება 27 იანვარს დილას 9 საათ. სოფელ ხეთაში.
1—1—23

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),
მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

ქუთაისი.
თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ
დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ
საქართველოს ისტორია,
მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უძველეს და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ.
საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.
გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ

ს. ს. ი. გოკიელის შ-ბის ქუთაისში
ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი
აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.
ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის
უფლებებით.
თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 2 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის მენადარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.

## ქუთაისი, 27 იანვარი.

წარსულმა წელმა ომისაგან წარმოშობილი უბედურობა, როდი გვაკმარა:

მეორე და უარესი ჭირი ის მოგვადგა კარს, რომ მთელი სამი მაზრა: ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის გაის მოსავლამდი ულუკმაპუროთ უნდა დარჩეს.

ამ საშიშარი მოლოდინის გამო ადგილობრივი ქართული და რუსული პრესა შემოდგომიდან გოდებს და სტირის, მაგრამ აქომამდი არსაიდან საიმედო ხმა არ გვსმენია.

და თუ ოდესმე ასეთი გაჭირების დროს მთავრობის დახმარება ფრიად საჭირო, ახლა ასეთი დახმარება ერთი ორად და სამად უფრო უსაჭიროესია, რადგანაც ისეთს მაზრებს ეწვია მოუსავლობა, რომლებიც ყოველთვის მთელი გუბერნიის მკვებავი ყოფილა, თუ ისეთი რისხვა არ მოვლინებია, როგორიც წელს დაატყდა თავზე.

მას აქეთ, რაც ზემო იმერეთი მევენახეობას დაადგა, აქაური მცხოვრებლებიც კი ზემოხსენებული, დამშეული მაზრების იმედით გამოდიოდენ: სამეგრელო-გურიიდან ბლომად მოქონდათ დანაკლისი სარჩო-სიმინდი.

საზღვარგარეთ, შავი ზღვით ხომ მილიონობით გადიოდა ამ რაიონიდან სიმიდი და ეს ამოდენა სიმიდის ფასი დღეს აქაური მცხოვრებისათვის სიზმარივით გაქრა.

მაგრამ ახლა ვინდა ჩივა ან ზემო იმერეთის დანაკლისს, ან იმ აუარებელ ფულს, რომელსაც სიმიდის ვაჭრობა ხსენებულ მაზრებს ყოველ წლობით არგებდა ხოლმე.

ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ამ დამშეული ადგილების მცხოვრებლებს არავითარი საშუალება არ მოეძევებათ, რომ მეორე მოსავლამდი თავი გაიტანონ და სამერმისო მოსავლისათვის ყანები დასთესონ.

გაჭირვება ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებოდათ, ბათუმს, ფოთს და სხვა შავი ზღვის პირა ქალაქებსა და დაბებში რაიმე სამუშევრის შოვნა რომ შეეძლოს გურია-სამეგრელოს მუშა ხელს!

საბედისწეროთ ომის გამო დღეს ესეც მოსპობილია.

დარჩენილა მხოლოდ ერთად ერთი საშუალება—მთავრობის უხვი, ფართო და საჩქარო დახმარება.

და დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ადგილობრივ გუბერნატორს ანგარიში გაუწევია ასეთი გარემოებისათვის და დამშეული მაზრების დროზე მიშველება განუზრახავს.

„დროზე მიშველების“ სურვილით აიხსნება მხოლოდ ის არა ჩვეულებრივი და რაციონალური განკარგულება, რომელიც მან მოახდინა დამშეულ რაიონში დაწვრილებითი ცნობების შეკრების შესახებ:

მან გვერდი აუარა ძველსა და უნაყოფო მეთოდს ასეთი ცნობების შეკრებისა: მამასახლისებსა და ბოქაულებს არ ეკითხება იგი, ასეთი მძიმე საგნის გამოსარკვევათ:

ამ დღეებში ბრძანება მოუვიდა საგუბერნიო აგრონომს, რათა მან დაუყონებლივ გაგზავნოს დამშეულ მაზრებში რაიონების აგრონომები, რომლებმაც საჩქაროთ უნდა შეკრიბონ დაწვრილებითი და უტყუარი ცნობები მოსალოდნელი შიმშილობის შესახებ, რათა გუბერნიის უფროსმა შესაფერი შუამდგომლობა აღძრას შემწეობისათვის.

აგრონომები უკვე გაემგზავრენ, და, რამდენათაც დროზე და რიგიანად შეასრულებენ მინდობილობას, იმდენათ ჩქარი და საიმედო მოსალოდნელი იქნება უთუოდ მთავრობის დახმარება.

**ს. ყიფიანი.**

## ნარკვევი.

გამოქცეულ სომხების შესახებ „ზაკავკასკაია რეჩი“ სწერს:

„პეტ. ვედ.“ მოთავსებულია ოგიუსტის წერილი, „გამოქცეულ სომხებზე“. როდესაც კითხვა შეეხება გამოქცეულთ, ბევრნი ჰფიქრობენ, ვითომც ჩვენ მხედველობაში გვქონია თბილისიდან გამოქცეული სომხები. ამიტომ ჩვენ საჭიროდა ვრაცხთ მკითხველს ეხლავე ვაუწყოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ თბილისიდან გამოქცეულ მდიდარ სომხებზე კი არა ვლაპარაკობთ, არამედ სპარსეთიდან გამოქცეულ მშიერ და შიშველ სომხებზე. „პეტ. ვედ.“ სწორედ ამ უკანასკნელებს გულისხმობს. მისი აზრით, კავკასიაში მორბიან სომხები თითქმის ისეთ რაიონებიდანაც კი, სადაც მათ არავითარი შიში არ მოელით' .როდესაც ბელგია დაიპყრეს გერმანელებმა, მისი მცხოვრებნი საფრანგეთში და ინგლისში გაეშურნენ; ჩვენი მოხაზღვრე პოლონელები თავიანთ სამშობლოს შუა გულში. სპარსეთის სომხები კი არა თუ თავიანთ სამშობლოში არ ეძებენ მყუდრო თავშესაფარს, არამედ მორბიან იმ მხარეში, რომელსაც სპარსეთთან არავითარი სამეტრო დამოკიდებულება არა აქვს“. ამ თვალსაზრით ხსენებული გაზეთი სპარსეთიდან სომეხთა გამოქცევას ფრიად საგულისხმიერო პრეტენდენტად სთვლის გამოქცეულთ შველა ესაჭიროებათ, უწინარეს ყოვლისა, ფულით, მაშინ როდესაც გაზეთის სიტყვით, მეფის მოადგილის მიერ დაარსებულ „სომეხთა ნაციონალურ ბიუროში“ საშუალება აღარ მოიპოვება მათ დასახმარებლად. მართალია, სომეხ მდიდრებს სთხოვენ, ყოველ დღე აწუხებენ, მაგრამ ბევრმა მათგანმა სრულიად არაფერი მისცა, ან და თუ მისცეს, **ფრიად ცოტა**.. ამ ნაირად, „სომ. ნაც. ბიურო“, რომლის მსგავსი არც ერთს **ბრბოეს** ხალხს არ მოეპოვება მთელს იმპერიაში, სრულებით უძლური გამოდგა, რომ სომეხი მდიდრებისთვის გაჭირვებულ მოძმეთა დასახმარებლად რაიმე გამოეღებინათ. მაშასადამე, ეხლა შველას უნდა მოელოდნენ მთავრობისაგან და სომეხის საზოგადო მოღვაწენიც ჰფიქრობენ მიმართონ მის უდიდებულესობის დიდი მთავრის ნიკოლოზის ასულის ტატიანას სახელობაზე დაარსებულ დამხმარებელ კავშირს.

თბილისში ეხლა დიდია „გამოქცეულთა“ რიცხვი. მათ აქეთ-იქით ათავსებენ და „თუ ეპისკოპოს ნერსესის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და გამოქცეულთ რუსული პროვინციებში დაურიგდათ, მაშინ გამოქცეულთა დასახლება უფრო ფართო სახეს მიიღებს...„მათი უმეტესი ნაწილი, როგორც ყოველთვის, ეხლაც ქართველთა საზღვრებში იქნება დასახლებული. საქართველოში ასეთი გადმოსახლება აგერ ათეული წლები გახდება რაც ისედაც ხდებოდა, თუნდა ოსმალეთში არავითარი დევნა და ქისტები არ ყოფილიყო სომეხთა დასახლება ქართველთა ტერიტორიაზე კი ქართველების უმტკივნეულეს საკითხს შეადგენს. თანამედროვე ქართველის ეროვნულ მსოფლმხედველობად აღიარებულია **ხელშეუხებლად შენახვა და დაცვა საქართველოს ტერიტორიისა.** ქართველის ეროვნული აზრი არავითარ კომპრომისებს არ იცნობს ამ საკითხში და, აი, სწორედ ამიტომ არის, ყოველთვის ქართველ-სომეხთა საურთიერთაშორისო დაობაში უმთავრესად ტერიტორიის საკითხი არის ხოლმე ნიადაგად.

არ შეიძლება ამ წერილის ავტორს არ დავეთანხმოთ, რომ მიწა-წყლის საკითხი' ყველაზედ მტკივნეული სადავიდარაბო ადგილია ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, რომლის გადაუჭრელობის გამო ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მეგობრობა-მეზობლობა და თანხმობითი ცხოვრება. ამის სიმწვავეს და ფრიად საფრთხილო შედეგებს უნდა ყველანი ვგრძნობდეთ,., „პეტ ვედ'' სიტყვით გამოქცეულთა საკითხი სახელმწიფო საკითხს წარმოადგენს და მათი ,,დროებითი'' დასახლება ისეთ პირობებში უნდა მოხდეს, რომ შემდეგში არავის არ მიაყენოს ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და რეალური დაზარალება''.

# ომი.

პეტროგრ. ტელ. სააგენტ.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირის ფართო ფრონტზე შეტაკებები ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებდა. მაგალითად, სოფ. ნადროჟთან ყაზახებმა იერიში მიიტანეს მტრის ერთ ესკადრონზე, რომელსაც ქვეითა ჯარი ეხმარებოდა და ხელში ჩაიგდო ტყვეთ 20 გუსარი და ბარგი. ღამის სამ საათზე ჩვენმა გუსარებმა შტიკებით გამორეკეს გერმანელები სოფლებიდან და გლანდისტარის ტყიდან, ხელში ჩაიგდეს ზარბაზნები და ამუნიცია. უფრო შესანიშნავი შეტაკება მოხდა სერპეციდან რიპინისკენ მიმავალ გზაზე, სადაც წარმატებით იყო ჩვენი ღამით მიტანილი იერიში მტერზე სოფელ ორშულოვოს რაიონში.

მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე, ბზურასა და რავკაზე სწარმოებდა სროლა. სოფელ კამიონის რაიონში იერიშებს ვაწარმოებდით და რამდენიმეთ წინ წავიწიეთ, მიუხედავათ მტრის მედგარი წინააღმდეგობისა. ჩვენი არტილერია მარჯვეთ ესროდა მტრის მრავალ რიცხოვან კოლონას, რომელიც ზამიარიდან ვოლიმოვისკენ მოიწევდა. ამ სროლის დროს ქვეითა ჯარი მტრისა გაიფანტა და მტერმა გზაზე არტილერია დასტოვა.

კარპატებში ბრძოლა გრძელდება მთელს ფრონტზე. ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა სამს გამაგრებულ პოზიციაზე მეზოლაბორჩთან და რამდენიმე ვერსის მანძილზე სდია. ამ ბრძოლის დროს ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი და ხუთი ტყვიის მტყორცნელი; მესამე გონვედის პოლკის კამანდირი, 47 ოფიცერი და 2516 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ლუტოვისკიის უღელტეხილის ჩრდილოეთით მტერი იძულებული იყო უკან დაეხია. აქ ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო მტრის თხრილები, რომლის დროსაც წავართვით მტერს სამი ტყვიის მტყორცნელი და ბევრი ტყვე. ტუხოლკისა და ბესკიდის უღელტეხილებზე გადმოსვლისათვის მტრისგან მიტანილი იერიში მო-

გერგბულ იქნა და მტერმა დიდი ზარალის ნახა უკან დახევის დროს. ბუკოვინაში ჩვენი ჯარი მტრის მრავალ რიცხოვანი ჯარის იერიშებს აჩერებს მიუვალ გორაკების პოზიციებიდან მოტანილს და მტერს თანდათან უკან სწევს.

შავ ზღვაზე ჩვენმა ნაღმოსნებმა ზარბაზნები დაუშინეს ხოპ. კრეისერმა „ბრესლაუ“-მ 21 იანვარს ბათომთან გაიარა და უშედეგოთ 20 ჯერ ესროლა ყუმბარა. ჩვენმა ნაღმოსნებმა, რომელიც აქ მანევრას აკეთებდენ, ორჯერ ესროლეს თუარა, კრეისერი წავიდა.

ოფიციალური. 25 იანვარი.

აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლა ინსტერის მიდამოებში თანდათან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ვისლის მარცხენა ნაპირზე გრძელდება ძლიერი ზარბაზნის სროლა. ბზურასთან ჩვენი ჯარი წინ მიდის და ხელთ იგდო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პუნკტი. ბორჟიმოვთან ჩვენმა ჯარმა წაართვა გერმანელებს თხრილების ორი ხაზი და იხელთა ექვსი ტყვიის მტყორცნელი. დანარჩენ ფრონტზედაც იყო მტრის თავდასხმა, მაგრამ ყველგან ჩვენმა ჯარმა უკუაგდო. კარპატებში ჩვენმა ჯარმა დაატყვევა 2 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი.

ლასდენენის რაიონში ბრძოლა ისევ გრძელდება, სადაც ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მლავის ზოგიერთ ადგილში ხდება საარტილერიო ბრძოლა.

ბორჟიმოვის რაიონში ჩვენ ვიხელთეთ რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი და ზარბაზანი. სვიდნიკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ დავატყვევეთ 47 აფიცერი და 2512 ჯარის კაცი, ვიხელთეთ ხუთი ტყვიის მტყორცნელი და ორი სამთო ზარბაზანი. ამავე რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 22 იანვარს 100 აფიცერი და 5 ათასი ჯარის კაცი. ორი სამთო ზარბაზანი, ორი მორჩილი ზარბაზანი, 21 ტყვიის მტყორცნელი და აუარებელი სამხედრო სურსათი, სანოვაგე. ტელეფონები, ურმები და სხ. შემდეგ კიდევ ამავე რაიონში 22 იანვარს დავატყვევეთ 170 აფიცერი, ორი, პოლკის უფროსი და 10 ათასი ჯარის კაცი. სამ დღეს გაგძელდა ეს ბრძოლა და მტერმა ძალიან დიდი ზარალი ნახა.

## ინგლის-ოსმალეთის ასპარეზი.

**ქაირო.** 12 ათასმა ოსმალომ, 6 ბატარეით შეიარაღებულმა, 23 იანვარსს, დილით ადრე, იზმ ილიის ახლოს კანტართან, იმ მიზნით, რომ გადასულიყვენ სუეცის არხზე, პონტონის ხიდების შემწეობით მთელი რიგი იერიშებისა მოიტანა. ბრძოლა გაგრძელდა ნაშუადღევის 3 საათამდი, ჩვენი ჯარისა და ფლოტისაგან დაშენილი ზარბაზნებით მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია, დასტოვა რა ბრძოლისა ველზე ურიცხვი მოკლული და დაჭრილი, ამ ბრძოლის დროს დავატყვევეთ 318 ჯარის კაცი და 8 ოფიცერი, რომლებიც ქაირის მივიყვანეთ. ინგლისელებს მოუკლეს 16 კაცი. დაიჭრენ ორი აფიცერი, 82 ჯარის კაცი და 10 მეზღვაური კრეისერ „გარუინგიდან“.

ქაირიდან იტყობინებიან: გენერალი, რომელიც სარდლობდა ოსმალეთის ჯარს დაიჭრა, მაგრამ გაქცევა მაინც მოასწრო.

**პარიზი.** საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა, რომ უკანასკნელი ბრძოლის დროს სუეცის არხში, ფრანგების ორმა გემმა „რეკენმა“ და „დანტრკასტომ“ გმირულათ დაიცვეს არხი და ჩააჩუმეს ოსმალების მძიმე არტილერია და თან გაფანტეს ოსმალეთის რამდენიმე ერთად შეჯგუფული გემი. თვითონ არავითარი ზიანი არ მიუღიათ.

**კოპენჰაგენი.** ამსტერდამის კომენდანტის ბრძანებით, ქალაქიდან ნება არ არის. ხორბლის, ფქვილის, ერბოს და სხ. სანოვაგის გატანისა.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**კოპენჰაგენი.** ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი აღმოსავლეთის ასპარეზზე გაემგზავრაო.

**ნიში.** მოვიდა სამხედრო სასანიტარო რაზმი, ტრუბეცკოის მეთაურობით. სადგურზე შეხვდა რუსეთის ელჩი მთელი მისიის მოხელეთა თანდასწრებით.

**ვაშინგტონი.** გერმანიის საელჩომ გამოაქვეყნა ცნობა გერმანიისგან ინგლისის ნაპირების ბლოკადის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიას სულაც არა აქვს მიზნათ რაიმე ზარალი მიაყენოს ამერიკის გემებს, რომლებიც სურსათით არიან დატვირთული, თუნდაც ეს გემები მოპირდაპირე სახელმწიფოს მშვიდობიან მცხოვრებთათვის იყოს დანიშნულიო.

**ნიში.** იტყობინებიან, რომ ქალაქზე საღამოთი გადაიფრინა ორმა აეროპლანმაო.

**პარიზი.** ბეჭდვითი ბიურო აქვეყნებს გერმანელ ტყვე ჯარისკაცების წერილების ნაწყვეტებს. ეს ნაწყვეტები ამტკიცებენ, თუ რა შესანიშნავათ მოქმედებს ფრანგების არტილერია. ერთი საქსონელი ჯარისკაცი 28 აგვისტოს თარიღით სწერს: „აუარებელი ამხანაგები იღუპებოდა ფრანგების არტილერიის ცეცხლის წყალობითო“. მეორე სწერს: „სამწუხაროთ უნდა გამოვტყდეთ, რომ ფრანგების არტილერია გაცილებით მაღლა სდგას გერმანიისაზეო“. 82 სარეზერვო პოლკის ჯარისკაცი ამბობს: „საშინელებაა ფრანგების არტილერიის მოქმედებაო. ერთი ყუმბარა საკმარისია და ჰაერში ხედავ თავს, ხელებს და ფეხებსო“. მე 17 პოლკის ლეიტენანტი ამტკიცებს ფრანგების არტილერიის სროლის მათემატიკურ სისწორეს.

**ტოკიო.** კობეში დაატყვევეს ნორვეგიის გემი „ხრისტიან იოსი“, რომლითაც ჩინეთს მივიდა გერმანიის ახალი ელჩი.

**ლვოვი.** გამოატარეს ახალი რიგი ტყვეებისა, რიცხვით 6.600 კაცი. ტყვები წამოყვანილი არიან კარპატის ასპარეზიდან.

**მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა კრებამ მოისმინა უმაღლესი მთავარსარდლის შემდეგი შინაარსის დეპეშა: დროებით სახალხო განათლების სამინისტროს მართველმა მაცნობა, რომ მე მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის საპატიო წევრათ ვარ არჩეული და თან გადმომიგზავნა ეს დადგენილება თქვენის ხელმოწერით. თუ ხელმწიფე იმპერატორი ამას კეთილ ინებებს, მე დიდათ ბედნიერათ ჩავსთვლი ჩემს თავს, ვიყო საპატიო წევრი მოსკოვის უნივერსიტეტისა, რომელიც არის კერა ჩვენის კულტურისა და განათლების. მე, როგორც უმაღლესის ნებით დანიშნული მთავარსარდალი, ძლიერ გამახარა იმ გარემოებამ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი მიესალმება ძლევამოსილ ჯარს და მის მთავარსარდალს, ჯარს, რომელიც იცავს საკაცობრიო ცივილიზაციას. გთხოვთ გადასცეთ ყველა ჩემს ამრჩეველს ჩემი უმაღლესი მადლობა. მე ვიამაყებ დიდი ბედნიერებით ვიყო საპატიო წევრათ ჩვენის უნივერსიტეტისა.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ამავე კრებამ იმ სამეცნიერო მოღვაწეობის გამო, ისტორიაში, რომელიც მიუძღვის დიდ მთავარს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, დაადგინა ითხოვონ უმაღლესი ნებართვა, მიართვან დიდ მთავარს საპატიო დიპლომი.

**პარიზი.** შედგა უკანასკნელი სხდომა სამის საფინანსო მინისტრისა. კვირას მინისტრი ბარკი გაემგზავრა ლონდონს. ერთი ფრანგული გაზეთის თანამშრომელს ბარკი დიდხანს ესაუბრა და უთხრა, რომ მას სწამს თუ რა დიადი და შესანიშნავი საქმეა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. შემდეგ ბარკმა გამოსთქვა თავისი აღტაცება საფრანგეთის ჯარზე. სხვათა შორის ილაპარაკა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობაზეც და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთი ამ მხრივ უზრუნველყოფილიაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სამშვიდობო ლიგა, გრაფ ოკუმას მეთაურობით და გამოჩენილ მოღვაწეთა თანდასწრებით, შეუდგა იმ საკითხების გარკვევას, რომელიც შეიძლება ამერიკასა და იაპონიის შორის განხეთქილების საბაბათ გარდაიქცეს.

პრესა აცხადებს, რომ იაპონიამ მტკიცეთ გადასწყვიტა ჩინეთის ხელმძღვანელობის გაწევა განაგრძოს. იაპონია ამასთან ჩინეთის მთავრობას ურჩევს, რაც შეიძლება, მალე დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი, რათა ამის შესახებ საკითხი უფრო არ გამწვავდეს.

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ნაწილი ციხეში მყოფ ტყვე გერმანელთა, ინგლისის წინადადებით, გონკონგს გაგზავნოს.

—

რუმინიის გაზეთების უმრავლესობა მეომარ სახელმწიფოთა დიდ სამხედრო სამზადისზე მსჯელობს. ეს სამზადისი მოასწავებს ომის ხანგრძლივობას. ამ გვარათ რუმინიას დრო და საშუალება ხელს შეუწყობს, რომ თავისი ეროვნული მიზანი განახორციელოსო.

—

იასიდან ცნობაა—ბუქარესტზე გავლით მოელიან რუსის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, რომელსაც თან ახლდება რუმინიის საელჩოს მდივანი ორიონი. დიდმნიშვნელოვანი მისია აქვთ მინდობილიო.

—

დაჩის სადარბაზო შენობაში შესდგა სოციალისტების დიდი მიტინგი, რომელსაც რუმინელი სოციალისტების ბელადი დობროჯეანუ-გერიც დაესწრო. ორატორები მთავრობის ჩუმი სამხედრო სამზადისის წინააღმდეგი არიან, რადგანაც ომი როგორც ავსტრიასთან, ისე რუსეთთან რუმინიისათვის დამღუპველი იქნებაო. შეერთებული ტრანსილვანია რუმინიის მილიტარიზმს ააყვავებს, ვინაიდან გამოცალკევებულ უნგრეთის მხრით მუდამ შიში მოსალოდნელი. კარგ შემთხვევაში რუმინია ტრანსილვანიის ნაწილს მიიღებს. ტრანსილვანია მაჟარებისათვის სიცოცხლის საკითხათ გარდაიქცევა. სჯობს, ტრანსილვანია სხვის ხელში მთლათ იყოს, ვიდრე ორ ნაწილათ გაყოფილი. მიტინგზე ომის საწინააღმდეგო რეზოლიუცია გამოიტანეს.

—

ბულგარეთის ადგილობრივი დიპლომატიური წრეები შესაძლებლათ სცნობენ, რომ იტალიისა და რუმინიის შეთანხმება ბულგარეთ-იტალიის შეთანხმებათ შეიცვალოს, რადგანაც იტალიასა და რუმინიას საერთო ინტერესი არა აქვთ, ამასთან რუმინიის პოლიტიკაც გამოურკვეველია. რუმინიას ბულგარეთის ეშინიან და სურს სერბია და საბერძნეთი გააძლიეროს, რაც, როგორც იტალიისთვის ისე კიდევ ბულგარეთისთვის სახიფათოა, ვინაიდან ბერძნები და სერბიები ალბანეთის დაპყრობას ლამობენ. მთავრობასთან ახლოს მყოფი პირები გულახდილათ ამბობენ, რომ ახლო მომავალში იტალიასა და ბულგარეთს შორის შეთანხმება მოხდებაო.

—

წვიმებისა და თოვლის დნობის გამო დუნაი, სავა და მორავა ადიდდენ, რაც ავსტრიას სერბიის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ხელს უშლის.

## გერმანიის წყალქვეშა ნავების თარეში.

ლამანშის სრუტესა და ირლანდიის ზღვაში გაჩნდენ გერმანიის წყალქვეშა ნავები. ერთი მათგანი თავს დაესხა გავრის მახლობლათ მყოფს ინგლისის ხომალდებს: „ტოკამარუს“-სა და „იკარიას“, მეორე კი უფრო შორს წავიდა ფლიტვუდისა და ლივერპულის მახლობლათ, ირლანდიის ზღვაში, დაღუპა ინგლისის სამი ხომალდი. ამ გვარათ თითქოს სრულდება გერმანიის ადმირალის ტირპიცის მუქარა, რომელმაც სთქვა; 1) მე ვაწარმოებ წყალქვეშა ბრძოლას მტრის სავაჭრო გემების წინააღმდეგ, შემოვერტყმები ინგლისის კუნძულებს, ავაფეთქებ ინგლისის ყველა სავაჭრო გემს და მით საშუალებას მოვუსპობ სურსათის შემოზიდვისასო“.

მაგრამ, თუ არსებითად შევხედავთ საქმეს, ტირპიცის მუქარა მუქარათვე რჩება.

## მ ე გ ო ბ რ ე ბ ი.

—:—

საღამოს რვა საათზე ბოლოგანიძის კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა. მსახურმა ნაცნობ სტუმარს კარი გაუღო და მოწიწებით შეაპატიჟა. ეს იყო შუა ტანის, სხვილი, ხორცსავსე ქალი, მდიდრულათ ეცვა და თავზე ძვირფასი შლიაპა ეხურა.

— ქალბატონი სახლში ბრძანდება?— ხმამაღლა იკითხა შემოსულმა.

— სახლში გახლავთ, ბატონო—უპასუხა ბიჭმა.

— ძლიერ კარგია... მოახსენეთ!.. ძლივს, ხვნეშით წარმოსთქვა სტუმარმა.

კიბეზე ამოსვლის დროს სიმსუქნის გამო გული საშინლათ აძგერებოდა. მისი ვეებერთელა მკერდი ტალღასავით ადიოდ-ჩამოდიოდა.

ამავე დროს სასტუმრო ოთახის კარებიც გაიღო.

— ჰააა ლიზა, ლიზა დუშეჩკა! კერიას ნახშირი! რა ანგელოზმა გაფიქრებიათ ამ ღამე ჩემი ნახვა! წარმოიდგინეთ, მთელი დღე მარტო ვიყავი და საშინლათ მომწყინდა! ისეთი მომწყინდა!.. ისეთი მომწყინდა! . აღარ ვიცოდი რა მექნა!

— სად წავიდა ზურაბ ივანიჩი?

— ის, გენაცვალე, საზოგადო საქმეებს თუ არ გადააკვდა, ხომ არ იქნება!

— ხა, ხა, ხა, ხა! ჟინიანია, ღმერთმანი, თქვენი მეუღლე!

სტუმარ-მასპინძელი გადაეხვივნენ ერთმანეთს და მხურვალეთ ჩაკოცნეს.

მათ მთელი კვირა არ ენახათ ერთმანეთი.

— ღმერთს გეფიცებით, ლიზა, ამდენი შრომა რომ კაცს შეძლებოდეს მე არ მენახავს! დღე და ღამ მოსვენება არა აქვს! დილით, ჩაის დალევს თუ არა— მიდის... დაბრუნდება—სადილს სჭამს და ისევ მიდის... არ ვიცი, ღმერთმანი, რა [illegible]

ლიზა მიხვდა თუ რა სწყუროდა მასპინძელს და მხიარულათ დასძინა:

— სამაგიეროთ ხალხს ემსახურება, ვაჟო!

— კი, გენაცვალე, მაგრამ რატომ? რისთვის? დაუმადლებს განა ვინმე? მადლობას ვინღა ჩივა როცა ჩვენს შორის დარჩეს ლიზა ეს სიტყვები—მექრთამეც კი დაარქვეს ხოლმე ჩემს ზურაბს!

— ნუუ, ეგ ხომ ნამდვილი მხეცობაა! წამოიძახა ლიზამ, გადაავლო სავარძლებს თვალი და თანვე დაუმატა:

— რა მშვენიერი ხავერდი გადაგიკრავთ სკამებზე, ანეტა! ნეტავი სად იყიდეთ?

— ეს ხავერდი?.. ბოლდასაროვთან. არშინში ექვსი მანეთი მივეცი—დინჯათ მიუგო ანეტა ბოლოგანიძისამ.

— უჰ, რა იაფია! გუშინ მეც ვიყავი პაკუპკებზე, მინდოდა კარგი ხავერდი მეყიდა, მაგრამ ვერ ვიშოვე - უმიზეზოთ იცრუა ლიზამ.

ამ ლაპარაკში გოგომ ადუღებული სამოვარი შემოიტანა. ანეტაც დატრიალდა, გავიდა მეორე ოთახში, გაალო შკაფი და ერთ წუთში დაბრუნდა სავსე ხონჩით. მაგიდა გაივსო სხვადასხვა ტკბილეულობით

ყველაფერი იყო: დაშაქრული პურები, ტორტი, ხალვა, ფისტაშკები, ლახათლუხი და სამნაირი მურაბა: ბიის, ვაშლისა და ალუბლის. სამოვარი საამურათ შიშინობდა. ისინი მაგიდას შემოუსხდენ.

— ლიზა, მიირთვით ტორტი! . ღმერთო ჩემო, როგორ სტუმარივით ირჯებით. აი ეს მურაბაც ნახეთ? არ დამიწუნოთ კი.. ჩემი გაკეთებულია. — ღიმილით სთქვა ანეტამ.

— საუცხოვოა, საუცხოვო ღმერთმანი! მასწავლეთ თუ ღმერთი გწამთ რას უშვებით ისეთს ამ მურაბას, რომ ამნაირი ტკბილი და კარგი ფერის გამოდის?!— გაოცებით იკითხა ლიზამ.

— არაფერს, გენაცვალე — უპასუხა ანეტამ—შაქარს ვუშვები მომეტებულს და დიდხან ვადუღებ...

აქ, უეცრათ, მათმა საუბარმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

გულუხვმა მასპინძელმა ჰკითხა „სხვადასხვა საკითხებში განვითარებულ“ ლიზას შაქრის გაძვირების მიზეზი და პასუხათ მიიღო:

— აი გაზეთებში სწერენ ხოლმე— ყველა შაქრის ქარხნებზე გაფიცვა აქვთ მუშებსო!

— რისი გაფიცვაო?

— აი იმისი, რომ აღარ ვიმუშავებთო!

— თვალები კი დაუდგათ! რისთვის არ ვიმუშავებთო?

— რისთვის არ ვიმუშავებთო? . ოოო! ქარხნები ჩვენი უნდა იქნესო... ცოტა გვამუშავეთ და ბევრი ფული მოგვეცითო!

— იმე! კარგი ყოფილა თქვენმა მზემ! დამზადებული მოგვართვითო? გაოცდა ანეტა.

— მაშ!

გადაჭრით უპასუხა ჭკვიანმა ლიზამ და სიცილი დაიწყო.

ლიზას სიცილიც შვენოდა. მისი თეთრი კბილები, ჟოლოწვენილივით წითელი ლოყები და სიცილის დროს გულ-მკერდის ოსტატური თამაში სიამოვნების ჟრუანტელს გვრიდა მამაკაცებს. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ლიზა ქვრივი იყო, თუნდაც ახალი დაქვრივებული და მასთან ხანში შესულიც!

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა, —ცოტა დაწყნარების შემდეგ ისევ განაგრძო მან ხითხითი.

— მართლაც რომ სასაცილოა!—სთქვა ანეტამ და მეორეჯერ დაასხა ჩაი.

— არა, მაგისთვის კი არ ვიცინი... ხა, ხა, ხა, ხა... სულ სხვა გამახსენდა!

— მაგრამ ნეტავი იცოდე ანეტა რა გამახსენდა ხა, ხა, ხა, ხა?

— რა გაიხსენე? ალბათ იეშმაკებდი რამეს შენებურათ?

— არა! აბა თუ მიხვდები!

— აჰა, ალბათ შეასრულე შენი ქადილი.

— რომელი?

— აი ისა, შენ რომ დაიქადე ტასოზე— ძალიან კი ტრაბახობს ქმრის ერთგულებით მარა, თუ მოვინდომე, იმ ერთგულებას ნახევარ საათში წირვას გამოვუყვანო.

— არა, გენაცვა, ვერ მიხვდი!

— აბა რა? იქნებ სიყვარული აგიხსნა იმ ბებრუცუნამ, ბრილიანტის ბეჭედი რომ გაჩუქა?

— არც ეს! ხა, ხა, ხა, ხა! ვერ მიხვდები, ანეტა ვერა!

„მაშ რა იყო?—

— აი რა! გითხრა?.. ღმერთო ჩემო!.. ღმერთო, რა გარყვნილია ეს ახალგაზდობა! Понимаете?.. вчера... то есть... ესე იგი გუშინ ასე, ღამის ათი საათი იქნებოდა... ტრამვაით მივეშურებოდი სახლისაკენ, ლიზასთან ვიყავი სტუმრათ და ცოტა დამაგვიანდა. გოლოვინის პროსპექტზე ვაგონში შემოვიდა ვიღაც, სულ ახალგაზდა, ლამაზი სახის ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა. დაჯდა ჩემს პირდაპირ და თვალებს აღარ მაშორებს. მე, რასაკვირველია, პირველათ არ მივაქციე ყურადღება. ვიფიქრე, ბავშმა ან დედას მიმამსგავსა ან ნათესავს მეთქი.

ერთი ქუჩა გავიარეთ, მეორე... მაინც თვალებში ჩამცქერებია, მაგრამ იცით, ანეტა როგორ? თვალები ცეცხლივით ანთებია და აჩქარებით სუნთქავს. გამიკვირდა და თანვე დავინტერესდი. აბა თუ შერცხვება, მეთქი: თვალები გავუსწორე. ხა, ხა, ხა, ხა! თქვენც არ მომიკვდეთ, ანეტა, მთელი ხუთი წუთი გამიძლო. ბოლოს, როგორც იქნა, ვაჯობე! ის წამხდარი, ის! ის ეთი ლამაზი და ნორჩი იყო და ხედავთ როგორ გაეშმაკებულიყო!

— კარგია თუ ღმერთი გწამს! იქნება მართლა ნათესავათ გიცნო და მისთვის გიცქერდა?—წყენის კილოთი ჰკითხა მას ანეტამ.

—, აბა რა სათქმელია! ჯერ მაცალე რა გითხრა? როცა ვაგონიდან ჩამოვედი, ის ბავშიც ჩამომყვა. გადავჯექი მეორეში —ისიც შემოვიდა და სწორეთ ჩემ წინ დაჯდა. მალე ჩემს სახლს მივუახლოვდი და ჩამოვხტი. ფეხით სასვლელი, ხომ იცით, დიდი მანძილი აღარ რჩება. მივდიოდი ჩემთვის დაფიქრებული და ეგ საზიზღარი თურმე უკან მომყვება! არ ვიცი რა დარჩ ნოდა! ამ დროს, უეცრათ, საკვოიაჟი დამივარდა. მინდა დავუბრუნდე და ავიღო—ვნახოთ, ჩემს არამკითხე თანამგზავრს დაუჭერია ის ხელში და მოწიწებით მაწოდებს.

— უკაცრავათ, მგონი თქვენია ეს ნივთიო—ხმის კანკალით მეუბნება ის. მე ცივათ მადლობა გადავუხადე და ისევ გზას გავუდექი. არ ვიცი რად გამეცინა ამ დროს! როცა საკვოიაჟი ხელიდან გამოვართვი გიჟივით გადვიხარხარე. ამ სიცილით გამხნევებული ბავში ისევ მომიახლოვდა და მორცხვათ მთხოვა.

— ნება მომეცით სახლამდე გაგაცილოთო!

სწორეთ დამაინტერესა მისმა უდროო თავხედობამ და ძალაუნებურათ დავთანხმდი... გზაზე გამომეცნაურა...

იცი? თურმე პოეტი ყოფილა. „ჩემი ლექსებიო, მითხრა, ზოგიერთ გაზეთებში იბეჭდებაო.“

როცა ჩემ სახლს მივადექ—მადლობა გადავუხადე. მინდოდა თავიდან მომეშორებინა. მან გამომიწოდა ჯიბეში ყოფნის გამო გაოფლიანებული ხელი, დაიჭირა ჩემი თითები და აღარ მიშვებს. უნდა რაღაც მითხრას. ენა ძლივს ემორჩილებ გავჩერდი და ვუყურებ, აბა, რას გაბედავს მეთქი.

— ხომ... ხომ არ... ხომ არ გამიჯავრდებით...

მართალია, გერმანელთა წყალქვეშა ნავების წასვლა ლივერპულისკენ არ შეიძლება არ ჩაითვალოს მეტის მეტ გამბედაობათა და სიყოჩაღეთ და სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ქების ღირსნიც არიან გერმანელთა მეზღვაურნი, მაგრამ ამავე სიყოჩაღეში იმალება ღირსეული შეფასება წყალქვეშა ნავების მოქმედებისა: ამგვარი თავდასხმა ნაყოფია მხოლოდ თავგამოდებისა და ხელოვნებისა და არა სამუდამო რეგულიარული სამხედრო მოქმედებისა, ამიტომ გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედება თავის მნიშვნელობას ჰკარგავს.

თუ გერმანიის წყალქვეშა ნავები დროგამოშვებით გამოჩნდებიან ინგლისის ნაპირებთან და დაღუპვენ სათითაოდ შემთხვევით შეხვედრილ ხომალდებს, ამით ინგლისის ვაჭრობა მაინც და მაინც ბევრს არას დაკარგავს და ზღვაზე მიმოსვლის ჩვეულებრივ განსაცდელს ბევრი არა მოემატება რა. ინგლისს საგრძნობი ზარალი მხოლოდ მაშინ მოუვა, თუ გერმანიის წყალქვეშა ნავები გარს შემოერტყმიან ბრიტანეთის კუნძულებს და სისტემატიურათ მიიტანენ იერიშებს. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მათვის შესაძლებელი იყოს. ჩვენის აზრით, ასეთი უცნაური თავდასხმით გერმანელებს სურდათ მოეხდინათ ერთგვარი ზნეობრივი ზეგავლენა ინგლისელებზე და ეთქვათ მათთვის:

—ხედავთ ჩვენი წყალქვეშა ნავები ლივერპულამდინაც კი მოდიან.

(რ. ვ.)

## ომი და გერმანიის სოციალ-დემოკრატები.

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანომ „Labour Ieaber“-მა, რომელიც ომის დაწყების დიდი წინააღმდეგი იყო ინგლისის ომში ჩარევისა, მიმართა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებს საშობაო ნომერში გამოეთქვათ თავისი აზრი ომის შესახებ. ამ მოწოდებაზე, გარდა გერმანიის სოც. დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა, სხვათა შორის პასუხი გასცა პარტიის მემარცხენე ფრთის სამმა წარმომადგენელმა: კარლოს ლიბკნეხტმა, როზა ლიუქსენბურგმა და ფრანც მერინგმა.

ცენტრალური კომიტეტი გერმან მიუ[...]ერის პირით ამბობს: „ამ განსაცდელის [...]ოს ჩვენი თანაგრძნობა ეკუთნის იმათ, [...]ნც ცდილობს, რაც შეიძლება მალე [...]ლო მოუღოს ამ საერთაშორისო ომს [...]უხედავათ იმისა, რომ სხვა და სხვა [...]ყნის ძმურ სოციალისტურ პარტიათა შორის იძულებით შეწყდა კავშირი, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ომის შემდეგ საერთაშორისო სოციალიზმი უფრო მედგრათ იმოქმედებს და ამგვარათ უზრუნველყოფს მთელის ქვეყნის მშვიდობიანობასო“.

ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ სოციალ დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი აღიარებს, რომ საერთაშორისო სოციალიზმი ამ ჟამათ დიდ კრიზისს განიცდის თუმცა კომიტეტი გულს მაინც არ იტეხს.

გულნაკლულობა უფრო ეტყობა კარლოს ლიბკნეხტის პასუხს: „მე მოხარული ვარ, ამბობს იგი, ჩემი ძმური სალამი გიდავსცე ინგლისის სოციალისტებს იმ დროს, როდესაც ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ გერმანელებისა და ინგლისელებს შორის სისხლის მსმელი მძულვარება ჩამოაგდონ. მაგრამ, მეორეს მხრით, გული მტკივა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი მთელი თავისი იმედებით პირქვე დაეცხო, ვინაიდან ორივე მებრძოლ მხარეში ბევრი სოციალისტები თავისიანები, გახდა იმპერიალიზმის მოსამსახურეთ. თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მოვლენა, რომ გერმანიის სოციალისტთა შორის ომის საწინააღმდეგო ოპოზიცია უფრო ძლიერია, ვიდრე ამას სხვები ფიქრობენ.

ლიბკნეხტი უფრო თავდაჭერით ლაპარაკობს. ამაზე მკაცრათ ჰკიცხავს პარტიას როზა ლიუქსენბურგი:

„იმპერიალისტთა ჯგუფების ზეგავლენით, ჩვენი გუშინდელი სიამაყე და იმედი—მუშათა ინტერნაციონალი—სამარცხვინოთ დაეცა. ყველაზე დიდი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა გერმანიის სექციამ, რომელიც მსოფლიო შრომის ჯარს სათავეში ედგა. ეს მწარე ჭეშმარიტება უნდა ხმამაღლა აღვიაროთ იმიტომ კი არა, რომ უნაყოფო სასოწარკვეთილებას მივცეთ, არამედ იმიტომ, რომ ნახულ შეცდომებისა და დღევანდელ ფაქტების მიხედვით მომავალში ჭკუა ვისწავლოთ. დღეს, როცა რამდენიმე თვემ განვლო ომის დაწყებიდან, გერმანიის მუშები თანდათან ერკვევიან, თუმცა ამ დიდებულ ისტორიულ დროს მუშებს მათმა მესვეურებმა თავი მიანებეს, მაგრამ თვით მუშები გრძნობა-გონებაზე მოდიან და დღითი დღე მატულობს რიცხვი იმ მუშებისა, რომელნიც სირცხვილითა და სიბრაზით იწვიან დღევანდელ ამბებისა გამო“.

ასეთივე გრძნობით გამსჭვალულია წერილი გერმანიის სოციალ დემოკრატიის ცნობილ ისტორიკოსი ფრანც მერინგისა. გერმანიის სოციალდემოგრატიულ პარტიის წევრისათვის ამ ჟამათ მეტათ სამძიმოა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სოლიდარობის შესახებ რისამე თქმაო — ამბობს მერინგი. — თვალთმაქცობა, იქნებოდა დაგვემალა ის მოვლენა, რომ ჩვენმა საპარლამენტო ჯგუფის უმრავლესობამ პირველმა დასცა ბასრი მახვილი და ღრმა ჭრილობაც მიაყენა ამ საერთაშორისო სოლიდარობას, მაგრამ ის საყვედური, რომელიც გაისმის დღეს გერმანიის პარტიისადმი სხვა ქვეყნის სოციალისტებისაგან, სავსებით არ არის ჩვენგან დამსახურებული. ამ ჟამათ ჩვენ განვიცდით იმავე მდგომარეობას, როგორშიც ვიყავით სოციალისტების წინააღმდეგ კანონების შემოღების შემდეგ. მაშინ, როგორც ახლა, მუშათა მესვეურებმა თავი დაჰკარგეს და თვით მუშებმა კი შემდეგი ლოზუნგი წამოაყენეს: —მივყვეთ მესვეურებს, თუ ისინი იმოქმედებენ. უმესვეუროთ ვიმოქმედოთ, თუ ეს უკანასკნელნი გულგრილობას გამოიჩენენ და მესვეურების წინააღმდეგ წავიდეთ, თუ ისინი ჩვენ ზურგს შეგვაქცევენო.

უკვე დაიწყო მუშების ძლიერი მოძრაობა ბერლინსა, გამბურგსა, ლეიპციგსა და შტუტგარდტში და შორს აღარაა ის დღე, როცა გერმანიის მუშათა პარტია მსოთხოვს მშვიდობიანობას და ინტერნაციონალის შეურყეველ პრინციპების ასრულებას. და ეს მოთხოვნილება გამოიხატება არა ცარიელ ფრაზებში, არამედ იმ მედგარ ბრძოლაში, რომელსაც ეწევოდა მუშა ხალხი ამ უკანასკნელ ომობაში“.

შეიძლება მერინგის ეს აზრი ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ გერმანიაში რომ მართლა დაიწყო ომის საწინააღმდეგო მოძრაობა—ეს კი ეჭვის გარეშეაო, დასძენს გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“.



## დ ე პ ე შ ი.

საჩხერიდან შემდეგი სამწუხარო დეპეშა მოვიდა.

**მრავალ ტანჯულმა სამშობლომ დაჰკარგა თავისი სიამაყე. ღამის პირველ საათზე მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ მშვიდათ განუტევა სული.**

ექიმი **ს. ჯაფარიძე და კ. აბდუშელიშვილი.**

## ვიგლოვოთ... ვიტიროთ!

**აკაკიმ მშვიდათ განუტევა სული!** აი ის ოთხი სიტყვა, რომელიც ელვასავით მოედება მთელ საქართველოს...

**მშვიდათ განუტევა სული!**... ოჰ, რა გულ-გრილია ფოლადის მავთული, რა შეუბრალებელია დეპეშათა გადასაცემი მანქანა...

ადვილი სათქმელიც არის ეს სიტყვები გარეშეთათვის! მაგრამ... იცით რა ძნელი, რა მოუნელებელია ქართველი კაცისათვის?

ამიერიდან დადუმდა ბაგენი ქართველთა უდიდესის მგოსნისა, გადატყდა კალამი ჩვენის ქვეყნის უდრესის ქირისუფლისა, გაწყდა უკანასკნელი სიმი ღვთიურის ჩანგისა!...

ვიტიროთ და ვიგლოვოთ, ქართველებო, ვინაიდგან ჩვენ უბედო-ბედს ცრემლი თუ წარხოცავს და ბოლმა თუ მოსპობს!...

## ახალი ამბავი.

**ჩვენი სასიქადულო მგოსნის, აკაკის გარდაცვალების ამბავი** იმ დროს მივიღეთ, როცა ჩვენი გაზეთი უკვე აწყობილი იყო. დაწვრილებით ცნობებსა და წერილებს შემდეგ მოვათავსებთ.

✦ კვირას, დილის მატარებლით ბათომიდან ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე.

✦ როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში ბათომს ეწვევა საქართველოს ეგზარხოსი პ. ტირიმი.

✦ ამჟამათ ქუთაისის გუბერნატორი კამერ იუნკერი ბ. პოტულოვი ავათ იმყოფება.

✦ სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი, რომელიც ქუთაისში სასწავლებლების დასათვალიერებლათ არის ჩამოსული, ოთხშაბათს ისევ თფილისს დაბრუნდება.

✦ ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოელის თფილისის ქალაქის უფროს ინჟინერს ბ. ქურდიანს, რომელიც დაათვალიერებს ნაქერალას ქედზე წყაროებს, ქუთაისის წყალსადენის მოსაწყობათ.

✦ შოთა რუსთაველის სახელობის ბალახვანის ქუჩის სამკითხველოში ამჟამათ ყოველ დღე ასამდი მკითხველი დაიარება. სამკითხველო კარგათ არის მორთული ქართველი მწერლების სურათებით. გამგეობა და სამკითხველოს მზრუნველი კომისია ენერგიულათ მუშაობს. გასული წლის ანგარიშები უკვე შეადგინეს და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ. ქუთაისის განყოფილებას ჩააბარა. ხსენებულ სამკითხველოს უფასოთ მოდის ყველა ადგილობრივი გაზეთები. თფილისიდან „კავკ. სლოვო“ ბაქოდან გაზ. „ბაქო“ და სატახტო გაზეთი „დენ“-ი. სამკითხველოს „სახალხო ფურცელი“ სრულიად არ მოდის. სამკითხველო წიგნების მხრით ღარიბია. კარგი იქნება კერძო პირები თავის მხრით წიგნებს შეწირავდენ.

✦ ამ დღეებში, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში გაიმართება თათბირი შაბიაბნის შესახებ, რათა ღონისძიება იქნეს მიღებული, რომ გაზაფხულზე ვენახები უწამლოთ არ დარჩეს.

✦ თავრიდის სასახლეში 25 იანვარს, მინისტრთა საბჭოს და სათათბიროს წევრების კერძო თათბირი გაიმართა.

✦ კავკავიდან გვწერენ, რომ 6 იანვარს, ადგილობრივ ქართულ თეატრში ქართული სკოლის სასარგებლოთ წარმოადგინეს „გამცემი“. წმინდა შემოსავალი 700 მან. უდრის.

— 14 იანვარს, აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ ნინოობა იდღესასწაულა. ქართულ ეკლესიაში მწირველი არქიმ. ანტონი იყო, რომელმაც წირვის წესი ქართულათ შეასრულა. ეკლესიაში ხალხი არ ეტეოდა

— ამავე დღეს, საღამოთი გაიმართა ადგილობრივ სკოლის მოწაფეთათვის საბავშო სალამო, რომელსაც მშობლები დაესწრენ. მასწავლებელმა მაჭავარიანმა სალამოს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სწავლა-აღზრდის შესახებ. სალამომ მწყობრათ ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

✦ როგორც შევიტყვეთ, ბ. იროდიონ ხანთაძე ქართულ ენაზე [illegible] რიშევის „ეკონომიურ საკითხს“ [illegible] ნი მალე მზათ იქნება.

✦ გუშინ, დილის მატარებლით, ჩამოასვენეს გვამი პოდპოლკოვნიკის ვლადიმერ ტარასის ძე ახვლედიანის. ცხედარი საკათედრო ტაძარში დაასვენეს. კუბოს 16 გვირგვინი ამშვენებდა.

✦ ამ დღეებში, ქუთაისში ახალგაზდა მსაგიობი პ. ფრანგიშვილი გამართავს ფრიად საყურადღებო სალამოს მეჯლიშს.

✦ როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, იქ ჩაუყვანიათ თფილისის ქართული დრუჟინის ცხენოსანი ნაწილი.

✦ კნ. ეპრაქსია ნიკოლოზის ასულმა ერისთავისამ ს. ვანსა და ამაღლების საზოგადოებაში შეაგროვა 100 მან. ფული ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ. ეს ფული გადაეცა ქუთ. დამხმარე სათავად-აზნაურო კომიტეტს.

✦ 28 იანვარს ნიჭიერი მსახიობის **ბ. ბრაძელი იმხნელის** საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება პიესა **„ჯადოსანი“** ზღაპარი 5 მოქმ. გად. კოსტან. ანდრონისა.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, ამ დღეებში იქ მოუთოვია.

✦ დღეს 27 იანვარს, ლექტორი ს. ქავთარაძე და ვ. ჯუღელი ლექციებს დ. სამტრედიაში წაიკითხვენ. მათ ლექცია ქიათურაში უკვე წაიკითხეს.

## ეპისკოპოზი კირიონი.

პეტროგრადიდან ცნობა მოვიდა, რომ ვიტებსკის საეპისკოპოზო კათედრაზე სინოდს დაუნიშნავს ჩვენი თანამემამულე, ქართველ საზოგადოებაში დიდათ პატივცემული, ცნობილი ეპისკოპოზი კირიონი. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ქართულ, რუსულ და სხვა პერიოდულ გამოცემაში კირიონის შესახებ დაისტამბა მრავალი წერილი, რომელიც საკმარისია მასალად, რომ შემდეგში მისი ბიოგრაფია, ლიტერატურული მოღვაწეობა და ღვაწლი ქართველი ერის წინაშე აღიბეჭდოს საუკეთესო გვერდზე სამშობლოის ისტორიისა. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კირიონს საკუთარ კათედრას დღეს პირველად არ აძლევენ. მან მღვდელმთავრობა მიიღო კიდევ თხუთმეტი წლის უკან, ერთ დროს საკუთარი ეპარქიაც ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ის სამსახურიდან გადააყენეს და მონასტერში გაგზავნეს. რა იყო ამის მიზეზი? — კირიონის გამოსვლა 1906 წელს რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ კრებაზე, სადაც სხვასთან ერთად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც ირჩეოდა. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველთა შორის პირველი ადგილი კირიონს ეჭირა. ამ საკითხზე ის ყველაზე მეტს სწერდა და ლაპარაკობდა და თავის მოპირდაპირეებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. ზევით ნათქვამ წინასწარ კრებაზე სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ კირიონმა წარადგინა ოთხი მოხსენება, სადაც მეცნიერულად ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესია, დაარსებული მე IV საუკუნეში, პირველად დაემორჩილაა ანტიოქიის საპატრიარქოს, მაგრამ მალე შეუდგა მეცადინეობას, რომ მოეპოვებია თვითმართველობა, რაც კიდევაც მოახერხა მე-VIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროიდან ეს ეკლესია იყო ავტოკეფალური 1811 წლამდი, როდესაც რუსეთის სინოდმა მას ეს უფლება წაართვა და თვითონ დაიმორჩილა. კირიონი უმტკიცებდა მოწინააღმდეგებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი არ ყოფილა გამოწვეული რევოლიუციონური მოძრაობით და მიუთითებდა ისტორიულ ცნობებზე იმის შესახებ, რომ დაწყებული მე XX საუკუნიდან ყველა წოდება ქართველი ერისა ძლიერ სცდილობდა შეენარჩუნებია თვითმართველობა სამშობლო ეკლესიისა და მოითხოვდა ავტოკეფალიის აღდგენას. ოფიციალურ კრებებზე ამ საკითხის შესახებ კირიონი იძლეოდა საბუთიან განმარტებას და მოწინააღმდეგების აზრს სასტიკათ აბათილებდა.

უკანასკნელ დროს კირიონი ცხოვრობდა ხერსონის მონასტერში, შავი ზღვის პირად. აქედან მისი გაწვევა საკუთარ ეპარქიაში არის მაჩვენებელი იმისა, რომ იმის შესახებ კურსი შეიცვალა და მის საქმეს ბოლო მოეღო. №

---

[...]ბით რომ... დაიწყო მან ბოდვა.

— რას ამბობ, ვერ გავიგე მეთქი—ვე[...]ხები მე.

— რა მინდა? გაკვირვებით იკითხა ანეტამ.

[—] ჰხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. აბა როგორ [...]ვიდგენდი?! იმ არამზადას ჩემზე უფ[...]ალგაზრდა ცოლი ეყოლება და მე კი [...]ება: დიდი ხანია მომწონხარ და ნუ [...]ჯავრდები თუ მოვიდე თქვენთან; [...]ი მარტო ხარო და მოწყენილი იქნე[...].

— მერე რა უპასუხე?—

[...]ქვის თვალით შეხედა მას ანეტამ.

— რა ვუპასუხე კი არა ისეთი წავავლე[...]ლოყაში ხელი, რომ კინაღამ ავაგლი[...]. დასწყევლოს ღმერთმა! კიდევ გიჟი [...]არ გადვიხარხარე! ვერ შევიკავე, [...]ა, სიცილი სწორეთ! აბა წარმოიდგი[...] [...]ექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბავშვი სი[...]ულს მიცხადებდეს... ხა, ხა, ხა, ხა!

[...] მოდი მეთქი 11 საათზე... ნეტავი [...]ც მოვიდოდეს! ყურებს დავაძრობ [...]თმანი!..

[...]ედლის საათმა ათჯერ დარეკა და ლი[...] წასვლა დააპირა.

[...]ეტა ბოლოგანიძისა ბევრი ეხვეწა: [...]ცა შე ქალო, ეს ღამე ჩემთანაც გა[...]დებო—მარა არაფერი გაუვიდა.

[...]იზამ მოიხურა თავისი ბეწვიანი მო[...]ამი, მოირთო, მოიკაზმა, მხურვალეთ [...]აკოცნა მასპინძელი და გამოეთხოვა.

[...]ები გაიღო. ლიზა მჩატეთ, გრაციით [...]ვსე რხევით დაეშვა კიბის საფეხურებზე. [...]ტივით მიფათქუნებდა! ის წყეული სი[...]სუქნე, თორმეტ ჩვიდმეტი წლის ქალათ [...]ათვლიდით. ანეტამ შურით გააყოლა მას [...]ვალი და გულში სთქვა:

— ნეტავი შენ, ნეტავი შენ, ბედნიერო ლიზა! ქვრივი ხარ თავისუფალი და ბედნიერი, ჩიტები გიფრინავს გულშიო.

——

ანეტამ კიდევ ორ საათს უცადა თავის ზურაბს და რომ აღარ მოუვიდა, მოწყენილი და რაღაცაზე გულმოსული ქვეშაგებში გაეხვია. დაწოლის დროს ზურაბის სურვილის გამო ის ყოველთვის იშლიდა მაყვალივით შავ თმას, მარა ახლა კი არ გაიშალა! სანათურს ჩაუკლო და მიეცა ჩვეულებრივ ოცნებებს.

— თმა გავიშალო მისთვის რომ ზურაბს ასე იამება!.. ნეტავი მე!.. განა ჩემს სურვილს ემორჩილება თვითონ? როგორ?.. მე ლიზაზე ხნიერი ვარ, რომ ალექსი მომბეზრებოდეს?!.

მოვა მეორე საათზე კარტის თამაშით გაბრუებული და ხმასაც არ გამცემს: იმ წუთშივე დაეძინება! დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბედისწერა! ასეთი უბედური რად შევიქენი, რად?! აქვითინდა ანეტა და ბალიში დაასოვლა.

— ყურებს დავაძრობო!.. განაგრძობდა ის ცოტა ხნის შემდეგ, ვაცით ლიზა პეტროვნა რა ყურებსაც დააძრობ! რად გამექცა ის უნამუსო თუ ამაღამ იმ ყმაწვილთან ლოზუნკი არ უნდოდა!.. გადის კარგა ხანი. კედლის საათი თორმეტჯერ რეკს... ანეტა გამოირკვევა. მისი სახე მკაცრ გამომეტყველებას ღებულობს.

— ოო! ჩემი დედა წამიწყდეს, იმ მკვდარ დედას მიმწიოს ღმერთმა, თუ ზურაბს არ ვუღალატე. აი ვუღალატებ! ვამბობ და კიდეც ვუღალატებ. სთქვა ანეტამ, სანათურს სინათლე მიუმატა, პერანგი გაიძრო და კედლის სარკეში დაუწყო თვალიერება მის რგვალს და ბამბასავით თეთრ სხეულს.

**ივ. ი—ანი.**

# შენიშვნა.

(შინაურ საქმეებზე).

სამწუხარო გარეთის სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთობას ერთი ჩინებული და მეტად მოსაწონი ჩვეულება აქვს: დრო გამოშვებით ხელ-მეორეთა და ხელმესამედ დაბეჭდვენ ხოლმე ცნობილ კლასიკების, რჩეული მწერლების ლექსებსა თუ მოთხრობებს, რომ თავისს ერს, თავისს ხალხს, ფართო მასსას მკითხველებისას გაახსენონ ხოლმე ამაგი, აზრები და გრძნობანი ამ რჩეულის მწერლებისა.

ამ გვარად, ამა თუ იმ ერის გამოჩენილი მწერალი, დიდებული ხელოვანი, მოამაგე ადამიანი თუმცა ხორციელად დიდიხნის დამიწებულია, მაგრამ სულიერად ისევ ცოცხალია, ისევ დატრიალებს საზოგადოებაში და მკითხველები კვლავ სტკბებიან ხოლმე თავისს საუკეთესო შვილთა ნაწარმოებით.

ნაწარმოებნი ვიქტორ ჰიუგოსი, გი-უდე მოპასანისა, ზოლასი (საფრანგეთში) ბაირონისა და შელლისა (ინგლისში) გიოტესი და შილლერისა (გერმანიაში) და სხვათა და სხვათა, ხშირათ ამშვენებენ ხოლმე ამა თუ იმ თანამედროვე ჟურნალ გაზეთების ფურცლებს.

ჩვენის აზრით, ხელ მეორეთ და თუნდ ხელ მეათედ დაბეჭდვა „ხელი ხელ საგოგმანებელ მარგალიტებისა", სალიტერატურო შედევრებისა მეტის მეტად წასაქეზებელი და მისაბაძი მაგალითია.

და თუ-კი ეს ხდება ისეთ ქვეყნებში სადაც სახელოვან მწერალთა თხზულებანი მილიონობითა და ათას გვარ გამოცემათ იბეჭდება, სადაც ყოველი დიდებული ნაწარმოები შეგიძლიათ სამ-კაპიკათ იყიდოთ, ასეთი ჩვეულების შემოღება მით უფრო საჭიროა ჩვენთვის ქართველებისათვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენის ლიტერატურის კორიფეების და მამშვენებელთა—ნაწერები ცალკე წიგნათ გამოცემულნი სანთლით უნდა ეძებოთ და მეორეც ერთი—ამ ბოლო დროს ისე დაკნინდა და დაწვრილმანდა ჩვენი სიტყვა კაზმული მწერლობა, რომ გადმობეჭდვა სახელოვან ქართველ მწერალთა ნაწერებისა ნიმუშიც იქნება, ჭკუის მასწავლებელიც, წმინდა გრძნობის აღმძვრელიც და შემარცხვენელიც იმ აჩქარებულ „კოცნის პოეტებისა", რომელთა სახელიც დღეს ჩვენში ლეგიონია.

გარდა ამისა, დღეს—ამ გარდამავალ ხანაში—ჩვენი რედაქციებსა თუ მწერლობაში დაიბუდეს ისეთმა უწვრთნელმა, უგემოვნო და უსულგულო ლიტერატურულმა ქუცა-ქუცებმა ე. ი. წვრილფეხობამ, რომელთაც იშვიათად შეასმენი რამეს. (მე უმრავლესობაზე მოგახსენებთ, რასაკვირველია). რაც უნდა დაუწეროთ, რაც უნდა ელაპარაკოთ, ხატი და ჯვარიც რომ დაუსვენოთ თავქვეშ, ესენი მაინც თავისას გაიძახიან და რყვიან მდაბიო მკითხველის-გულ გონებას.

მომატყუე-რედაქტორობამ, საყველპურო „ლიტერატორობამ", „ჯგუფობანამ" მტრობისა და სატრფოს გაიაფებამ, გრძნობათა და იდეალების დახურდავებამ, უვიცობამ და უდისციპლინობამ ისეთი არევა დარევა ჩამოაგდო ჩვენში,—ჩვენ სალიტერატურო ოჯახში—რომ აღარ იცი, ვინ არის **ხელოვანი**, და ვინ არის **ხელოსანი**. ეს იქით იყოს!

თითოეულ ჯგუფს, თითოეულ მამატყუე რედაქტორს, თითოეულ ვითომდა კრიტიკოსს, თითოეულ ანაბანის მცოდნეს ჰყავს თავისი საკუთარი „პოეტი", თავისი საკუთარი „მწერალი", თავისი საკუთარი მკვდარი და ცოცხალი.

ხელოვნება, როგორც ეგეთი, მწერლობა, როგორც ტაძარი წმინდა გრძნობათა და განცდათა, მგოსნობა, როგორც „მადლი ქუხილობა მღვთისა" სიტყვა-კაზმულობა, როგორც მშვენება სიტყვიერებისა, პოეზია, როგორც ხატება მშვენიერებისა—დღეს მხოლოდ ხელობათ გადაქცეულა,—**უუმდაბლეს ხარისხის ხელობათ** და ვინც მეტსა თამამობს თვალებშიაც ის გეჩხირებათ.

დამეთანხმებით, რომ ასეთ ორომ-ტრიალში ძნელია შეასმინო ვისმე რამე და თუ იტყვი რამეს,—გამტყუნებული, გალანძღული ისევ შენვე დარჩები.

ამიტომ,—აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია, ვიმეორებ, დრო გამოშვებით ვბეჭდოთ ხოლმე ჩვენი კორიფეების ზოგიერთი ნაწარმოებნი. იქნება დღევანდელ, ასე ვსთქვათ, „ლიტერატორთა და ლიტერატურის გამქიქებელთა" უმრავლესობას შერცხვეს თავისი უგვანობისა და თავ-აწყვეტილობისა.

იქნება მშვენიერმა ფორმამ, მაღალმა გრძნობამ, უანგარო თავ-განწირვამ და უძლეველმა ზნეობრივმა სიფაქიზემ ჩვენ სახელოვან მწერალთა, ცოტა რამ ასწავლოს დღევანდელ მომატყუე-რედაქტორ თანამშრომლებს და ლიტერატურული ოჯახი ჩვენი აღარ იყოს „სახლად მოვაჭრეთა" და „სადგურად უკეთურთა".

**ი. ცანი.**

---

# დაბა-სოფელი.

**რაჭა.** ამ ჟამათ აქ კარგი ამინდებია გვგონებათ, გაზაფხულიაო; ღრმა მოხუცებულნი ამბობენ, რომ ამისთან მშვენიერი ზამთარი არ გვახსოვსო

ამ მაზრაში დღემდი ქურდ-ბაცაცობა ძალიან იშვიათი მოვლენა იყო, დღეს კი, როდესაც ოჯახის ღვიძლი სისხლით სავსე ვაჟკაცნი ბრძოლის ველზე არიან გაწვეულნი, ქურდ-ბაცაცებმაც საკმაოთ იჩინეს თავი. 18—19 იანვარს, ღამით ს. წესში ომში გაწვეულს სარდიონ გოგობერიშვილს ბოსლიდან მოჰპარეს ერთი უღელი ხარი, რომლის ოჯახიც ერთი ქალისა და ორი პატარა ძუძუმწოვარი ჩჩვილის ამარა არის დღეს. დაკარგული ხარებით პატრონისაგან მიტოვებული ოჯახი იოლათ გადიოდა რადგანაც მეზობლები ამ ხარებს თავის თავისთვისაც და პატრონისთვისაც ამუშავებდენენ და მით ლუკმა პური ქონდა ობლათ დარჩენილ ოჯახს. ახლა მეზობლებმა ამ საგანზე თხოვნით მიმართეს მაზრის უფროსს.

ამავე სოფელში უცნობებმა გაძარცვეს ტყის ყარაული. სოფ. სორში ებრაელებიც გაძარცვეს. კედელას გზაზე, ს. კვაცხუთში ხარაზის დუქანი გაძარცვეს, სოფ. ტოლას მჭედლის დუქანი შეანგრიეს და 9 შაური წაიღეს და სხვ.

უადგილო არ იქნება, რომ ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ მოვლენას და ხალხს მისცემდეს საშვალებას ღამის ყარაულების დასანიშნავათ სოფლებში, რათა დაუკაცურებული ღარიბთა კერა ამ ვაჟბატონების წყალობით სრულიად არ გაქრეს. ეს დალოცვილნი ადგილობრივი მოხელენი თუ კი გლეხებს ძალა უნებურათ აძლევინებენ მეომართა შესაწევარ ფულებს, ნუ თუ ამისთანა ქურდ ბაცაცებს ბოლოს ვერ მოუღებენ?!

**რაჭველი დარაჯი.**

---

# ღია წერილი.

**ბატონ ივანე კაპანაძეს.**

ბატონო ივანე! ჩვენ შორის არსებულ ანგარიშების შესასწორებლად, თანახმად ჩვენი საერთო სურვილისა, რაიცა განვაცხადეთ ორივე მხარემ სასამართლოში, მე თანხმობას ვაცხადებ, რომ ყოველგვარი ჩვენ შორის არსებული ანგარიშები გასწორებულ იქნეს შემდეგის საშვალებით: ორივე მხარემ ავირჩიოთ თითო გარეშე პირთაგანი და იმათ მივანდოთ ჩვენი სადაო საკითხის გადაწყვეტა და მათს განაჩენს ორივე მხარე დავემორჩილოთ.

ველი თქვენს თანხმობას.

**გიორგი ტარიელის ძე ჯაფარიძე.**

---

# მცირე შენიშვნა.

„ერთში" ამ დღეებში იყო მოხსენებული, რომ ქალაქის მმართველობა შეუდგა ქუჩებში ხეების აჭრასო. ეს თუ მართალია, კარგია, იმიტომ, რომ ისეც ნესტიან ქალაქში სიმრავლე ხეებისა და ისიც ქუჩებში, ანესტიანებს არე-მარეს. კარგი იქნებოდა ქალაქს ხეების აჭრა ლაზარეთის ქუჩიდან დაეწყო. არსად ისე უპატრონოთ და უმზგავსოთ არ არის ხეები ისე აშვერილი როგორც აქ. მიუხედავათ იმისა, რომ თვით ქუჩაც რომელიც შუა ქალაქშია, წარმოადგენს სრულს ხრამებს და ლაფოებს, ნამდვილ საქესლიის შარას. რუხაძის საწყობიდან დუქანთან ქუჩიდან ქუჩაზე გადასავალი ისე მოუხერხებელი და გასაჭირია, თუ ქუჩის ერთი ნაპირიდან გადამავალს მეორეზედ დამხმარე არ აღმოუჩნდა, კისერი უნდა მოიჩეხოს; არის ერთი წყევლა კრულვა.

---

# სია.

**წ. კ. ს. ქ. განყ. იმ პირთა, რომელთაც 1914 წ. საწევრო ფული სამი მანეთი გადაიხადეს:**

1) კრინიცკი ალექსანდრე მიხეილის ძე, 2) გუგუშვილი დომენტი ტრიფონის ძე, 3) ჭუბაბრია დავით როსტომის ძე, 4) ნაზაროვი დიმიტრი ალექსანდრეს ძე, 5) ჩადუნელი დავით გიორგის ძე, 6) მიქაძე სერაპიონ მიტროფანის ძე, 7) წულუკიძე პეტრე გიორგის ძე, 8) კლდიაშვილი დავით სამსონის ძე, 9) ჭიღაძე ვარლამ ივანეს ძე, 10) ყიფიანი პეტრე იასების ძე, 11) ხაჭომია სტეფანე გიორგის ძე, 12) ქუთათელაძე ევგენი სოფრომის ძე, 13) ნასამიძე ისიხი 14) პანწულაიძე პროკოპი, 15) მდივანი პავლე გურგენის ძე, 19) ბაქრაძე იაზონ თომას ძე, 17) დოლაბერიძე მელიტონ ლუკას ძე.

---

# მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. | 50 წ. | დილ. |
| | 11 ს. | 30 წ. | ღამ. |
| **ბათომიდან** | 10 ს. | 5 წ. | დილ. |
| | 2 ს. | 23 წ. | ღამ. |
| **ფოთიდან** | 10 ს. | 30 წ. | დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. | 55 წ. | დილ. |
| | 1 ს. | 7 წ. | ღამ |
| **ბათომში** | 10 ს. | 7 წ. | საღამ |
| | 4 ს. | 27 წ. | დილ. |
| **ფოთში** | 4 ს. | 14 წ. | დღ. |

---


**ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,** რომ მე გავეყარე **ნ. ს. ტერკის ფირმას** და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის" პირდაპირ.




# საკუთარი მაღაზია;

ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა შემძლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინიდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც ჰირადათ დარწმუნდება მყიდველი.



მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი.**

---

# კალიგრაფიის (ლამაზი და ჩქარი წერის) კურსები.

**(ნებადართულია მთავრობისაგან)**

**ვ უ ს წ ო რ ე ბ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვკისრულობ

**ადრესების, დიპლომების და ხელშეკრულების**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე.** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13. თ.



ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები

# გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ... შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.**

**ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.**

---

ფოთის ახალ მაღაზიაში **„უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ"**

**ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ**

მაღაზიაში **ი ყ ი დ ე ბ ა** მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეის, ტანისამოსის და ხელსაწყოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟევა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფ... ლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაც... პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშვებისა მოწაფეების ტანისამოსი და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების ტანისამოსზე და შეკერ... საქონელზე ფაბრიკის ფასი. **დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%**

თ. **პატივისცემით აინბინდერი.**

---

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 кап.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა, თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II.. 70 კ.
8) ვ. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყმაწვილთათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

---

მ ო ი კ ი თ ხ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# „ახალი ქართლი"

**გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ დ ა კ ვ ი რ ა ო ბ ი თ**

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| **დაკვეთის ფასი:** | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, ს... ლოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქც...

**ფ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფუ... შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარ... გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდ... წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უ... გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Р... „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილი.**

---

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, ლიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

# „განთიადი"-ზე

[illegible]

წლიური ფასი ... 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. ... 15 კ. ... 50 კ. ...

[illegible]

... Кутаисъ ...